1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9-10

საქართველოს სსრ. სამ. ბიბლიოთეკა
თბილისი

სექტემბერი ოქტომბერი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემლობა
19 თბილისი 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1066

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 28 ივლისი

საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მედიკო-სანიტარული მომსახურების შესახებ

როგორც შემოწმებით გამოირკვა, საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მედიკო-სანიტარული მომსახურება წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია, ყველა საბავშვო სახლი დაკომპლექტებულია სამედიცინო პერსონალით (გარდა ზუგდიდის საბავშვო სახლისა).

ტარდება აღსაზრდელთა შორის გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი. მ/ წელს 215 აღსაზრდელს ჩაუტარდა მკურნალობა, საგრძნობლად შემცირდა დაავადებათა რიცხვი, მინიმუმამდე არის დაყვანილი სოკოვანი დაავადებისა და ტრახომის შემთხვევები.

ყველა საბავშვო სახლს აქვს გამოყოფილი იზოლატორი. საბავშვო სახლები უზრუნველყოფილი არიან საჭირო მედიკამენტებით.

მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მედიკო-სანიტარული მომსახურების, მოვლისა და რეჟიმის დაცვის საქმეს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ბორჯომის, გეგეჭკორის, ონის და ჩოხატაურის საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებლად ტარდება პროფილაქტიკური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებანი.

მახინჯაურის, ეწრის, საჩხერისა და ჩოხატაურის საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სანიტარულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

ვაშლოვანის, ეწრისა და თელავის საბავშვო სახლებში უხარისხოდ ტარდება ღრმა საექიმო შემოწმება.

ლენინგორის, თამარაშენის, გეგეჭკორის, სურამის, ონის, საჩხერის, ჩოხატაურის და ეწრის საბავშვო სახლებში აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ინდივიდუალური ხმარების საგნებით.

გეგეჭკორის, ქარდანახის, ონის, განთიადისა და კოჯრის № 1, 3 და 5 საბავშვო სახლებში კეთილმოუწყობელია კვების ბლოკი.

ცუდად მარაგდებიან კვების პროდუქტებით განთიადის, გეგეჭკორის, ონის, ქარდანახის, საჩხერის, ეწრისა და ჩოხატაურის საბავშვო სახლები.

აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სრულიად არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღსაზრდელებში ადგილი აქვს ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევებს. საბავშვო სახლის დირექციის უყურადღებობისა და ექიმ ა. კოპალეიშვილის უპასუხისმგებლობის შედეგად დროზე ვერ იქნა გამოვლინებული ტუბერკულოზით დაავადებული ერთი ბავშვი, რომელიც აღმოჩნდა ბაცილარული და რომლისაგანაც დაავადდნენ სხვა ბავშვები, საბავშვო სახლის დირექციის მიერ არ იყო მიღებული სათანადო ზომები სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს ყველა საბავშვო სახლის დირექტორს უზრუნველყოს მკაცრი ზომების გატარებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მედიკო-სანიტარული მომსახურების შესახებ განუხრელი შესრულება.

2. ვაშლოვანის საბავშვო სახლის დირექტორს არჩილ სიმონიძე საგინაშვილს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

გაფრთხილებულ იქნეს ა. ს. საგინაშვილი, რომ თუ მომავალში მსგავსი მდგომარეობა განმეორდა, მის მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ვაშლოვანის საბავშვო სახლის ექიმი ა. კოპალეიშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

4. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე) საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების შემოწმებისას ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოების დახმარებით პირველ რიგში შეისწავლოს აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების საქმე და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე ვაშლოვანის საბ. სახლში ექიმის საჩქაროდ დანიშვნის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 27 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
28 ივლისი, 1946 წელი

მ ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში მიიღებიან 16 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც სურთ მიიღონ საშუალო განათლება.

2. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი სკოლის მოსწავლეთა რაოდენობისა და ახალი სასწავლო წლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის საფუძველზე, განსაზღვრავს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნას მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

3. განცხადებების მიღება V—XI კლასებში წარმოებს 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე.

სკოლაში მსურველთა ჩასაბმელად სკოლის დირექტორი ატარებს ახსნა-განმარტებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიო-სატრანსილაციო ქსელით.

4. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შემსვლელი პირი სკოლაში მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარადგენს მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ, ცნობას მუშაობის ადგილის შესახებ, დაბადების მოწმობას, ორ ფოტოსურათს და ავტობიოგრაფიას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ რაიონებში, სადაც არის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები, მოსწავლეთა მიღებას აწარმოებს პუნქტის გამგე.

დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი ვალდებულია დააყაროს კონტროლი საკონსულტაციო პუნქტების მიერ მოსწავლეთა ჩარიცხვის საქმეზე, რისთვისაც დირექტორი თვითონ ამ ადგილებზე, აგრეთვე ამ მიზნით ადგილებზე მიავლენს სკოლის თანამშრომლებს. მიღების დამთავრების შემდეგ პუნქტის გამგე 1 სექტემბრისათვის დაუსწრებელ სკოლას უგზავნის სწავლებაში ახლად ჩაბმულთა დოკუმენტებს და ჩატარებული გამოცდების მასალებს.

5. ის პირნი, რომელთაც აქვთ საბუთები შვიდწლიანი და საშუალო სკოლების IV — X კლასების დამთავრების შესახებ, ჩაირიცხებიან დაუსწრებელი სკოლის შესაბამის კლასებში გამოცდების გარეშე.

6. ის პირნი, რომლებიც წარადგენენ დოკუმენტებს განათლების შესახებ, მაგრამ სწავლაში სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ, ცოდნის დონის გარკვევის მიზნით აბარებენ წერით გამოცდებს მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და მათემატიკაში.

7. ის პირნი, რომლებიც სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში:

V და VI კლასებში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი) და არითმეტიკაში (ზეპირი);

VII კლასში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი) და ალგებრაში (წერითი);

VIII კლასში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი) და სსრკ კონსტიტუციაში (ზეპირი);

IX კლასში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალგებრაში (წერითი) და გეომეტრიაში (ზეპირი);

X კლასში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი);

XI კლასში — მშობლიურსა და რუსულ ენებში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრია-ტრიგონომეტრიაში (ზეპირი), ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი).

8. მისაღები გამოცდები ტარდება 20-დან 30 აგვისტომდე.

ის პირნი, რომლებიც ცხოვრობენ რაიონებში, სადაც არაა სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი, მისაღები გამოცდების ჩასა-

ბარებლად მიემაგრებიან უახლოეს შვიდწლიან და საშუალო სკოლებს.

9. მოსწავლეთა ჩარიცხვა დაუსწრებელ სკოლაში ბოლო ... ძესასვლელი გამოცდების დამთავრების შემდეგ. ის პირები, რომლებმაც ერთ ან რამდენიმე საგანში მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება, შეიძლება ჩაირიცხონ მხოლოდ იმ კლასებში, რომლებსაც შეეფერება მათი ცოდნის ფაქტიური დონე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: XI კლასში მოსწავლის ჩარიცხვისათვის ყველა შემთხვევაში განათლების სამინისტროს ნებართვაა საჭირო.

10. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შემსვლელთა მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში ტარდება კონსულტაციები; ამ მიზნით შეიძლება დაიხარჯოს სასწავლო წლის მანძილზე შრომის ხელფასის ფონდიდან სკოლის მიერ აუთვისებელი თანხები.

11. მისაღები გამოცდების დროს წერითი სახეები უნდა შედგებოდეს: ქართულ ენაში (სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის სახეების მიხედვით), რუსულ ენაში (კარნახი ყველა კლასში), მათემატიკაში (VIII, IX, X და XI კლასებში შემსვლელთათვის) ერთი ამოცანა და ორი მაგალითი.

12. ზეპირი გამოცდები ტარდება სკოლაში შემსვლელის ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

13. მისაღები გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

14. მისაღები გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით. ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა. საგამოცდო ცხრილი სკოლაში ქვეყნდება გამოცდების დაწყებამდე 15 დღით ადრე.

15. დაუსწრებელ საშუალო სკოლაში შემსვლელს თითოეულ საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

16. მისაღები გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

შესაბამის კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

სკოლის დირექტორი საკონსულტაციო პუნქტებიდან მიღებული

მასალების საფუძველზე ბრძანებით ახდენს მოსწავლეთა ჩარიცხვას ამა თუ იმ კლასში.

17. სკოლაში ახალმიღებულ თითოეულ მოსწავლეზე ანგარიშგებას შედგეს პირადი საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის
ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების უფროსი
რ. კანდელაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1067

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 28 ივლისი

საბავშვო სახლებში 1956 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში შემოწმებულია 13 საბავშვო სახლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია ამდენივე დოკუმენტური რევიზია.

სურამის, ნორიოს და ბათუმის საბავშვო სახლებში ჩატარებულია მოულოდნელი რევიზია.

სურამის საბავშვო სახლის მოულოდნელი რევიზიის შედეგები განხილულია კოლეგიის მიერ, ხოლო გეგეჭკორის საბავშვო სახლის შემოწმების შედეგები განხილულია საქ. კპ გეგეჭკორის რაიონული კომიტეტის ბიუროს მიერ და მიღებულია სათანადო ღონისძიებანი.

საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად, ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა. ბორჯომის საბავშვო სახლის 63 აღსაზრდელიდან 10 ვერ ასწრებს, მათ შორის 8 აღსაზრდელი დატოვებულია იმავე კლასში. გეგეჭკორის საბავშვო სახლის 60 აღსაზრდელიდან ოროსანია 4 აღსაზრდელი.

თელავის, გეგეჭკორისა და ზუგდიდის საბავშვო სახლების აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი თვალსაჩინო სასწავლონივთებით.

ზუგდიდის, გეგეჭკორის, ბორჯომის და რუსთავის საბავშვო სახლებში არ არის სათანადოდ მოწესრიგებული შრომითი სწავლება.

ნორიოს საბავშვო სახლის სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. საძინებელ ოთახებში უსუფთაობაა. ლეიბების უხარისხობის გამო აღსაზრდელებს ცარიელ რკინის ბადეზე უხდებათ

წოლა, მაშინ, როცა საწყობში საკმარისი რაოდენობით აქვთ ახალი ლეიბები. საწოლ ოთახებში ალაგ-ალაგ ყრია ჭუჭყიანი ტანსაცმელი, წინდები, ჩვრები და სხვა. მინების უმრავლესობა ჩამტვრეულია. პროდუქტებისა და თეთრეულის საწყობში აგრეთვე სამზარეულოში ანტისანიტარიაა. სასწორი, მაგიდები, თაროები, იატაკი უსუფთაოა, პროდუქტებთან ერთად ყრია „დუსტი". მზარეულს და დიასახლისს აცვიათ ჭუჭყიანი ხალათები, ხოლო მორიგე აღსაზრდელებს ხალათები სრულებით არ აცვიათ. საბავშვო სახლში არ არის ნაგვის ყუთი, ნაგავი იყრება სამზარეულოსთან ახლოს ეზოში და მთელ კარმიდამოში აუტანელი სუნი დგას. ჩამოწერილი ინვენტარი იმავე სახით ინახება, აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი სისტემატური ᲫᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲗ, ისინი ჭუჭყიანი, დახეული ტანსაცმლით დაეხეტებიან საბავშვო სახლის ტერიტორიაზე. უყურადღებობის შედეგად დაკარგულია საბავშვო სახლის 2 ძროხა და 1 მოზარდი, ღირებული 2825 მანეთად.

გეგეჭკორის საბავშვო სახლის აღსაზრდელები არ არიან მომარაგებული პირადი ჰიგიენის საგნებით (ცბილის ჯაგრისი, ფხვნილი, საპონი და სხვ.)

კოჯრის № 1 საბავშვო სახლში არ ტარდება აღსაზრდელთა პირის ღრუს სანაცია და ფიზიკურად სუსტი ბავშვების წონა-ზომის სისტემატურ შემოწმებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ზუგდიდის საბავშვო სახლს არა აქვს აღსაზრდელთა მოძრაობის წიგნი.

კოჯორის № 1, 2 საბავშვო სახლის აღმზრდელები არ იცნობენ საბავშვო ბაღის აღმზრდელთა სახელმძღვანელოს..

კოჯრის № 1 საბავშვო სახლის აღმზრდელი ლ. ინწკირველი მოუმზადებელი შედის სააღმზრდელო ჯგუფში და გულგრილად ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას. საბავშვო სახლების აღსაზრდელთა კვება არაა მოწესრიგებული. ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების მიღებისათვის არ იბრძვიან საბავშვო სახლების დირექტორები, ხოლო მომმარაგებელი ორგანიზაციები („საქვაჭრობა" და „ცეკავშირი") არ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 2 დეკემბრის № 655 დადგენილებას საბავშვო სახლების პროდუქტებით მომარაგების შესახებ, ვერ უზრუნველყოფენ დაწესებული ნორმის ფარგლებში საბავშვო სახლების მომარაგებას ხორცით, კარტოფილით, ბოსტნეულით, კვერცხით, რძითა და სხვ.

ადგილი აქვს 1956 წლის ბიუჯეტის თანხების როგორც აუთვისებლობას, ისე გადახარჯვას. გადახარჯული აქვთ: ზუგდიდის საბავშვო სახლს 10,4 ათასი მანეთი, ვაკის — 16,0 ათ. მან., თელავის 4,8 ათასი მან. და შუამთის — 17,0 ათასი მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეთანიის, კარდანახის, შუამთის, რუსთავის საბავშვო სახლებში არ დგას სათანადო სიმაღლეზე აღრიცხვა-ანგარიშგებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის საქმე. ზოგჯერ წარმოდგენილი ბალანსები არარეალურია (ბეთანიის, რუსთავის, შუამთის საბავშვო სახლები). ადგილი აქვს მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისებს, (რუსთავი — დიასახლისი ვ. გოგუა).

ბეთანიის ყოფ. ბუხჰალტერის ე. გრიგორიანის მიერ განზრახ არეულია საბუხჰალტრო საბუთების გაფორმება და აღრიცხვა, 1955 წლის მესამე კვარტალში არც ერთი საბუხჰალტრო საბუთი არაა გატარებული დავთრებში. ბალანსები შედგენილია ფიქტიურად. 1955 წლის იანვრის თვეში ბუხჰალტერ ე. გრიგორიანის მიერ ბაზიდან მიღებული საქონელი: 46 კგ. ძეხვი და 136 კგ. მანდარინი, (დაწერილი აქვს საწყობზე შემოსავლის ფაქტურის გარეშე) ფაქტიურად საბავშვო სახლს არ მიუღია. ე. გრიგორიანმა, ბოროტების კვალი რომ დაეფარა, ამავე თვის 4 — 11 რიცხვებში პროდუქტების ხარჯვის უწყისში შეიტანა ძეხვისა და მანდარინის ხარჯვა (გასავლის ფაქტურებში და მენიუში არაა შეტანილი). ასევე არაა საწყობის შემოსავალში აღრიცხული „კუროორტვაჭრობის“ ბაზიდან მიღებული კარაქი, კონფეტი, ყველი და მარილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორი ვ. გიორგაძე და სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგე ე. ბუაჩიძე, რომლებმაც თავი ვერ გაართვეს სამუშაოს და გამოყენებული იქნან ისინი აღმზრდელებად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ რუსთავის საბავშვო სახლის დიასახლისი მ. გოგუა განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან რევიზიის დროს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ ბუხჰალტერს ამხ. დ. ყარაშვილს მოახდინოს ბეთანიის საბავშვო სახლის 1955 წლის მესამე მეოთხე და 1956 წლის პირველი კვარტალის საბუხჰალტრო საბუთების დამუშავება და რეალური ბალანსების შედგენა; ე. გრიგორიანის და სხვათა მითვისებების დაზუსტება და საქმის საგამომძიებლო ორგანოზე გადაცემა.

4. დაევალოს ყველა შემოწმებული საბავშვო სახლის დირექტორს უზრუნველყოს ამ ბრძანებასა და შემოწმების მასალებში სახელებული დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას:

ა) კადრების განყოფილებასთან ერთად 5 დღის ვადაში შეარჩიოს ნორიოს საბავშვო სახლის დირექტორისა და სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგის კანდიდატურები და წარმოადგინოს დასამტკიცებლად;

ბ) ამ ბრძანების შესრულების შემოწმება მოახდინოს მ/წლის IV კვარტალში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 27 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1121

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 13 აგვისტო

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლების ზოგიერთი მოსწავლისათვის საშემოდგომო გამოცდების ვადის შეცვლის შესახებ

სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიან სკოლებში, როგორც წესი, საშემოდგომო გამოცდები ტარდება 20-დან 25 ოქტომბრამდე. ეს გარემოება ხელს უშლის საშემოდგომო გამოცდამიცემულ იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სწავლის გაგრძელების სურვილი აქვთ სხვა ტიპის სასწავლებლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. როგორც გამონაკლისი, სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლების იმ საშემოდგომო გამოცდამიცემულ მოსწავლეებს, რომელთაც 1-ლი სექტემბრიდან სხვა ტიპის სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება სურთ, საშემოდგომო გამოცდების ჩაბარების ნება დაერთოთ 20-დან 25 აგვისტომდე.

2. სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა) ეს ბრძანება დაუგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების განათლების განყოფილებებს და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიან სკოლებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1190

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წელი 27 აგვისტო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთ საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლების შემოღების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთ საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლების შემოღების შესახებ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1956/57 სასწავლო წლიდან საცდელად შემოღებულ იქნას რესპუბლიკის 20 საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლება თანახმად № 1 დანართისა.

2. სპეციალური დისციპლინების შესწავლა ამ სკოლებში დაიწყოს VIII კლასებიდან; ეს კლასები დაკომპლექტდეს მოსწავლეებით, რომელთაც სურვილი აქვთ დაეუფლონ სათანადო სპეციალობას.

3. ზემოაღნიშნული სკოლების (საწარმოო სწავლების კლასების) კურსდამთავრებულებს, გარდა სიმწიფის ატესტატისა, მიეცეთ მოწმობა მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესახებ.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე კავშირი დაამყარონ № 1 დანართში დასახელებული საწარმოო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან და გადამჭრელი ზომები მიიღონ აღნიშნული სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) შეავსონ ეს სკოლები უმაღლესი პედაგოგიური განათლებისა და პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი სტაჟის მქონე მასწავლებ-

ლებით, განსაკუთრებით სასკოლო კურსის იმ საგნებში, რომლებიც ძირითადია მოცემული პროფილის სპეციალისტის მოსამზადებლად.

5. ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან სამეცნიერო ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობისა და დებულების პროექტი ა/წ 1 ოქტომბრამდე დასამტკიცებლად წარმოადგინონ სკოლების სამმართველომ და სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ.

6. განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. თ. ზახაშვილმა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. კვაჭაძემ ერთი კვირის ვადაში წარმოადგინონ სათანადო პროექტი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან პოლიტექნიკური სწავლების მეთოდური კაბინეტის შექმნის შესახებ, 1956 წლისათვის დამტკიცებულ მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ლიმიტების ფარგლებში.

7. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ მოიწვიოს პროფილების შესაბამისი სპეციალისტები და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტთან ერთად ა/წლის 25 სექტემბრამდე დაამუშაოს საწარმოო სწავლების კლასებისათვის სასწავლო გეგმები და პროგრამები.

8. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა შეისწავლოს ზემოაღნიშნული კლასების მუშაობა და 1956/57 სასწავლო წლის II ნახევრისათვის წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს სათანადო ღონისძიებანი.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღნიშნული სკოლების მასწავლებელთა მუშაობას, აღმოუჩინოს მათ ყოველგვარი დახმარება სწავლების მაღალხარისხოვნად დაყენების საქმეში და სასწავლო წლის დასასრულს წარმოადგინოს დასკვნები საწარმოო სწავლების კლასებში მომუშავე მასწავლებლების შესახებ.

10. გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის" რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ზემოაღნიშნული სკოლების მოწინავე გამოცდილება და სისტემატურად გამოაქვეყნონ მეთოდური ხასიათის წერილები ცალკეული საგნების სწავლების შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

F 1941

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

ს ი ა

სკოლებისა, რომლებშიაც 1956/57 სასწავლო წლიდან შემოღებული იქნება საწარმოო სწავლება

სკოლის დასახელება	პროფილი	მატერიალური ბაზა
1. ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლა (ლენინის რაიონი)	სახარატო საქმე	სტალინის სახ. ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა
2. ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლა (მოლოტოვის რაიონი)	ელექტრომონტიორი	საქენერგო
3. ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა (ორჯონიკიძის რაიონი)	სადურგლო საქმე	საქ. სატყეო მრეწველობის სამინისტროს საავეჯო ფაბრიკა
4. ქ. თბილისის 89-ე საშუალო სკოლა (26 კომისრის რაიონი)	საზეინკლო საქმე	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მექანიკური ქარხანა
5. ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლა (კიროვის რაიონი)	საზეინკლო საქმე	ლითონჩამომსხმელი ქარხანა
6. მარტყოფის საშუალო სკოლა (გარეუბანი)	სატრაქტორო საქმე	მარტყოფის მტს
7. ოქუმის საშუალო სკოლა (გალის რაიონი)	ჩაის ტექნოლოგია	ჩაის ფაბრიკა
8. ქ. სოხუმის მე-7 საშუალო სკოლა	საზეინკლო საქმე	სოხუმმშენის ტრესტი № 6
9. ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა	ჩაის ტექნოლოგია	სალიბაურის ჩაის ფაბრიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის დასახელება	პროფილი	მატერიალური ბაზა
10. ქობულეთის მე 2 საშუალო სკოლა	სატრაქტორო საქმე	ქობულეთის მტს
11. ქ. ქუთაისის 1 საშუალო სკოლა	ავტომექანიკური საქმე	საავტომობილო ქარხანა
12. სტალინირის მე-2 საშუალო სკოლა	სადურგლო საქმე	სტალინირის სატყეო კომბინატი
13. ტიბაანის საშუალო სკოლა (სილნაღის რაიონი)	მეცხოველეობა	მაჩხაანის ზოოტექნიკუმი
14. ქ. გორის მე-7 საშუალო სკოლა	საფეიქრო საქმე	საფეიქრო კომბინატი
15. რუხის საშუალო სკოლა (ზუგდიდის რაიონი)	მეცხოველეობა	ადგილობრივი ფერმა
16. ანასეულის საშუალო სკოლა (მარნეულის რაიონი)	ჩაის ტექნოლოგია	ჩაის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და ჩაის ფაბრიკა
17. ვალეს 1 საშუალო სკოლა (ახალციხის რაიონი)	ელექტროსაზეინკლო საქმე	ვალეს ქვანახშირის მაღაროთა საწარმოები
18. წინანდლის საშუალო სკოლა	მეღვინეობა	წინანდლის მეღვინეობის ქარხანა
19. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლა	საელმავლო საქმე	ჭიათურის მარგანტრესტის საწარმოები
20. ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა	სახარატო საქმე	მეტალურგმშენი, მექანიკური ქარხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1281

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 10 სექტემბერი

ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ

უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას ოქროს მედალოსნებთან გასაუბრებისა და ვერცხლის მედალოსნების გამოცდების შედეგებიდან ირკვევა, რომ მთელი რიგი სკოლების მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი თვალისახვევისა და ლიბერალიზმის მავნე პრაქტიკას; ზოგიერთი მასწავლებელი უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეს. ხშირია მასწავლებლის მიერ ნიშნების ხელოვნურად აწევის შემთხვევები; სკოლის ხელმძღვანელები სათანადო კონტროლს არ ახორციელებენ მასწავლებელთა საქმიანობაზე და არ წარმართავენ მუშაობას იმგვარად, რომ გამოუმუშაონ მოსწავლეებს დამოუკიდებული მუშაობის ჩვევა და მისცენ მათ მტკიცე და საფუძვლიანი ცოდნა.

ზოგიერთი საგამოცდო კომისიის წევრებმა არ უზრუნველჰყვეს გამოცდებზე მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, მისცეს მათ „შპარგალკებით" სარგებლობის საშუალება, შეასუსტეს მოთხოვნა მოსწავლეების მიმართ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულმა ბევრმა ახალგაზრდამ ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნა გასაუბრებისა და გამოცდების დროს უმაღლეს სასწავლებლებში. განსაკუთრებით სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს მათემატიკაში: ოქროს მედალოსანმა ა. პ. ხაინდრავამ (გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ციცხვაია, მასწავლებელი ს. ნაჭყებია) და ვერცხლის მედალოსნებმა:

ლ. ი. ჯანელიძემ (ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, დირექ-

ტორი გ. ნოზაძე, მასწავლებელი ლ. ცოტაძე), რ. ნ. ქოჩრიაშვილმა (თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. თალაკვაძე, მასწავლებელი გ. ა. გუკასოვი), ზ. პ. შენგელიამ (ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ი. გენძეხაძე, მასწავლებელი ს. ჭუმბურიძე); რუსულ ენასა და ლიტერატურაში ნ. გ. ჩომახიძემ (წულუკიძის რუსული საშუალო სკოლა, დირექტორი კოპალიანი, მასწავლებელი ნ. ბლუმი).

სუსტი მომზადება გამოავლინეს და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვაზე უარი ეთქვათ:

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

1. ც. ა. ამირანაშვილს (ქ. თბილისის მე-14 საშალო სკოლა);
2. ლ. კ. გვარჯალაძეს (ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა);
3. ე. ა. ფარსადანოვს (ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლა);
4. ლ. შ. გუგუშვილს (თბილისის გარეუბნის რაიონის სოფ. მარტყოფის საშუალო სკოლა);
5. ლ. ე. ცინცაძეს (ჩოხატაურის საშუალო სკოლა);
6. თ. გ. ტრაპაიძეს (ჩოხატაურის რაიონის სოფელ სურების საშუალო სკოლა);
7. გ. მ. ძნელაძეს (ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერის საშუალო სკოლა);
8. ე. ა. კაცაძეს (ვანის რაიონის სოფელ შუამთის საშუალო სკოლა);
9. ლ. მ. ჯიქიას (ზუგდიდის II საშუალო სკოლა);
10. ვ. დ. კოხრეიძეს (ზუგდიდის III საშუალო სკოლა);
11. რ. ს. ნიკუაშვილს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლა);
12. ა. გ. ხოხონიშვილს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლა);
13. მ. გ. ნოზაძეს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის საშუალო სკოლა);
14. ს. ნ. კაკაშვილს (სიღნაღის რაიონი, წნორის საშუალო სკოლა);
15. ლ. ვ. დიდიძეს (ქ. თბილისის 58-ე საშუალო სკოლა);
16. ვ. კ. ჭრელოშვილს (თიანეთის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლა);

17. ლ. ა. უგულავას (წულუკიძის რაიონის მათხოჯის საშუალო სკოლა);

18. ნ. შ. ბოლოაშვილს (ახალციხის I საშუალო სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

1. გ. გ. ქსოვრელს (ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა);

2. ტ. შ. ჭრიკიშვილს (ქ. თბილისის 78-ე საშუალო სკოლა);

3. ვ. მ. ყაფლაშვილს (ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა);

4. ნ. გ. გურგენიშვილს (თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლა);

5. ლ. რ. აღნიაშვილს (ყვარლის რაიონის სოფელ შილდის საშუალო სკოლა);

6. ა. მ. ქობალიას (ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიის საშუალო სკოლა);

7. ზ. ა. ფუტკარაძეს (ზესტაფონის III საშუალო სკოლა);

8. ც. ნ. გვაზავას (აბაშის I საშუალო სკოლა);

9. ვ. პ. გრიგოლიას (ძველი აბაშის საშუალო სკოლა);

10. ვ. თ. ბართიას (გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს საშუალო სკოლა);

11. ი. მ. ნათბილაძეს (ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლა);

12. ც. ა. მსხრიკაძეს (სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოს საშუალო სკოლა);

13. ა. ფ. გოგოლაძეს (ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ხუნევის საშუალო სკოლა);

14. დ. ს. ვიბლიანს (მესტიის რაიონის სოფელ ჭუბერის საშუალო სკოლა);

15. ნ. ს. გველესიანს (მაიაკოვსკის საშუალო სკოლა);

16. ნ. გ. გრძელიძეს (მაიაკოვსკის რაიონის ფერსათის საშუალო სკოლა);

17. ე. ი. მაკარაძეს (თერჯოლის საშუალო სკოლა);

18. ნ. ს. მამულაშვილს (სოხუმის მე-5 საშუალო სკოლა);

19. გ. გ. კასრაძეს (სტალინირის პირველი საშუალო სკოლა);

20. ზ. ლ. თიგიშვილს (ლენინგორის საშუალო სკოლა);

21. ვ. დ. ჯოხაძეს (სტალინირის რაიონის სოფელ კეხვის საშუალო სკოლა);

22. გ. ა. დანელიას (სტალინირის მე-4 საშუალო სკოლა);

23. ს. კ. დგებუაძეს (გალის რაიონის სოფელ ოტობაიის საშუალო სკოლა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში:

ე. ვ. ლობჟანიძეს (ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის საშუალო სკოლა);

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

1. ბ. ა. კვირკველიას (წალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავას საშუალო სკოლა);

2. გ. გ. ნაჭყებიას (ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლა);

ვთვლი რა ზემოდ დასახელებული მედალოსნების დაბალ აკადემიურ მომზადებას შეუწყნარებელ ფაქტად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება ა. პ. ხაინდრავას, ლ. ი. ჯანელიძის, რ. ნ. ქოჩიაშვილის, ზ. პ. შენგელიას და ნ. მ. ჩომახიძის მედლებით დაჯილდოების შესახებ. საშუალო სკოლის აღნიშნულ კურსდამთავრებულებს მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის სიმწიფის ატესტატები.

2. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა, გამოცდებზე სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისა და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის დირექტორს ს. ციცხვაიას, ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის დირექტორს მ. ნოზაძეს, თელავის რაიონის ნაფარეულის საშუალო სკოლის დირექტორს გ. თალაკვაძეს, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ი. გენძეხაძეს და წულუკიძის რუსული საშუალო სკოლის დირექტორს გ. კოპალიანს.

3. მათემატიკისა და რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ცუდად დაყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი შეუწყნარებელი ლიბერალური დამოკიდებულებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური:

გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ს. ნაჭყებიას, ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ლ. ცოტაძეს, თელავის რაიო-

ნის ნაფარეულის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს გ. გუკასოვს, ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ს. ჭუმბურიძეს და წულუკიძის რუსული საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ნ. ბლუმს.

4. განათლების განყოფილებათა გამგეებმა მტკიცე კონტროლი განახორციელონ ბრძანებაში აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მუშაობაზე, მიმდინარე სასწავლო წელს საფუძვლიანად შეისწავლონ ამ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებისათვის.

5. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 7 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 1281

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

от 10 сентября 1956 года

О некоторых лицах, награжденных серебряными и золотыми медалями при окончании средней школы

Из собеседования и результатов экзаменов лиц, получивших при окончании средних школ золотые и серебряные медали выяснилось, что в работе целого ряда средних школ еще имеет место вредная практика очковтирательства и либерализма; некоторые преподаватели безответственно относятся к делу объективной оценки знаний учащихся.

Часты случаи искусственного завышения оценок знаний учащихся со стороны учителей; руководители школ не осуществляют должного контроля над работой учителя и не направляют работу таким образом, чтобы дать учащимся прочные знания и выработать в них навыки самостоятельной работы.

Некоторые члены экзаменационной комиссии не обеспечили на экзамене самостоятельной работы, дали возможность воспользоваться „шпаргалками“ и снизили требования по отношению к учащимся.

Этим объясняется то обстоятельство, что многие, награжденные золотыми и серебряными медалями, при поступлении в высшие учебные заведения во время собеседования и экзаменов выявили очень слабую подготовку. Осо-

бенно слабые знания выявили по математике: Хаиндрава А. П., получивший золотую медаль (Лехаиндраойская средняя школа Гегечкорского района, директор Цицхвая С., преподаватель Начкебия С); Джанелидзе Л. И. получивший серебряную медаль (г. Тбилиси, средняя школа № 10, директор Нозадзе Г., преподаватель Цотадзе Л.); Кочиашвили Р. Н. (Телавский район, Напареульская средняя школа, директор Талаквадзе Г. И., преподаватель Гукасов Г. А.); Шенгелия З. П. (г. Кутаиси, средняя школа № 2, директор Гендзехадзе И., преподаватель Чумбуридзе С.); по русскому языку и литературе Чомахидзе Н. Г. (г. Цулукидзе, русская средняя школа, директор Копалиани Г., преподавательница Блюм Н.).

Выявили слабые знания и не приняты в Тбилисский Государственный Университет:

1. И. А. Амиранашвили (г. Тбилиси, 14 средняя школа);
2. Л. К. Гварджаладзе (г. Тбилиси, 12 средняя школа);
3. Е. А. Парсаданов (г. Тбилиси, 66 средняя школа);
4. Л. М. Гугушвили (Марткопская средняя школа Гареубанского района);
5. Л. Е. Цинцадзе (Чохатаурская средняя школа);
6. Т. Г. Трапаидзе (Суребская средняя школа Чохатаурского района);
7. Г. М. Дзнеладзе (Сачамиасерская средняя школа Чохатаурского района);
8. Е. А. Кацадзе (Шуамтийская средняя школа Ванского района);
9. Л. И. Джикия (Зугдидская II средняя школа);
10. В. Д. Кохреидзе (Зугдидская III средняя школа);
11. Р. Х. Никуашвили (Вардисубанская средняя школа Лагодехского района);
12. А. Г. Хохонишвили (Вардисубанская средняя школа Лагодехского района);
13. М. Г. Нозадзе (Вардисубанская средняя школа Лагодехского района);

14. С. Н. Какашвили (Цнорская средняя школа Сигнахского района);

15. Л. В. Дидидзе (г. Тбилиси, 58 средняя школа);

16. В. К. Чрелошвили (Сионская средняя школа Тианетского района);

17. Л. А. Угулава (Матходжская средняя школа Цулукидзевского района);

18. Н. Ш. Болгашвили (г. Ахалцих, 1 средняя школа).

Не приняты в Государственный политехнический Институт Грузии им. Кирова

1. Г. Г. Ксоврели (г. Тбилиси, 8 средняя школа);

2. Т. Ш. Чрикишвили (г. Тбилиси, 78 средняя школа);

3. В. М. Каплашвили (г. Тбилиси, 7 средняя школа);

4. Н. Г. Гургенишвили (Напареульская средняя школа Телавского района);

5. Л. Р. Агниашвили (Шилдская средняя школа Кварельского района);

6. А. М. Кобалия (Чхорийская средняя школа Зугдидского района);

7. З. А. Путкарадзе (Зестафонская III средняя школа);

8. Ц. Н. Гвазава (Абашская 1 средняя школа);

9. В. П. Григолия (Дзвели Абашская средняя школа);

10. В. Т. Бартия (Салхинойская средняя школа Гегечкорского района);

11. И. М. Натбиладзе (г. Кутаиси, средняя школа № 21);

12. Ц. А. Мсхрикадзе (Саджавахойская средняя школа Самтредского района);

13. А. П. Гоголадзе (Хуневская средняя школа Орджоникидзевского района);

14. Д. С. Виблиани (средняя школа в с. Джубери Местийского района);

15. Н. С. Гвелесиани (Маяковская средняя школа);

16. Н. Г. Грдзелидзе (Персатская средняя школа Маяковского района);

17. Ж. И. Макаридзе (Терджольская средняя школа);

18. Н. С. Мамулашвили (г. Сухуми, средняя школа № 5);

19. Г. Г. Касрадзе (г. Сталинири, средняя школа № 11);

20. З. Л. Тигишвили (Ленингорская средняя школа);

21. В. Д. Джохадзе (Кехвская средняя школа Сталинирского района);

22. Г. А. Данелия (г. Сталинири, средняя школа № 4);

23. С. К. Дгебуадзе (Отобайская средняя школа Гальского района).

Не приняты в Тбилисский Институт инженеров железнодорожного транспорта:

1. Е. В. Лобжанидзе (Апенская средняя школа Лагодехского района);

В Сельско-хозяйственный Институт Грузии

1. Б. А. Квирквелия (Микавская средняя школа Цаленджихского района);

2. Г. Г. Начкебия (Пирвелимаисская средняя школа Хобского района).

Считая недопустимым фактом низкую академическую успеваемость указанных выше лиц, награжденных медалями ПРИКАЗЫВАЮ:

1. Отменить постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР о награждении медалями: А. П. Хаиндрава, Л. И. Джанелидзе, Р. Н. Кочиашвили, Г. П. Шенгелия и Н. М. Чомахидзе. Указанным лицам выдать аттестаты об окончании средней школы обыкновенного образца.

2. За безответственное отношение к делу оценки знаний учащихся, отсутствие должного контроля и за слабое руководство учебно-воспитательной работой ОБЪЯВИТЬ СТРОГИЙ ВЫГОВОР: директору Лехаиндраойской средней школы Гегечкорского района С. Цицхвая, директору средней школы № 10 г. Тбилиси М. Нозадзе, директору Напареульской средней школы Телавского района Г. Талак-

вадзе, директору средней школы № 2 г. Кутаиси И. Гендзехадзе и директору средней русской школы в г. Цулукидзе Г. Копалиани.

3. За слабую постановку преподавания математики и русского языка и литературы и недопустимое либеральное отношение к оценке знаний учащихся ОБЪЯВИТЬ СТРОГИЙ ВЫГОВОР: преподавателю математики Лехаиндраойской средней школы Гегечкорского района С. Начкебия, преподавателю математики Тбилисской 10 средней школы Л. Цотадзе, преподавателю математики Напареульской средней школы Телавского района Г. Гукасову, преподавателю математики Кутаисской II средней школы С. Чумбуридзе и преподавательнице русского языка и литературы русской средней школы г. Цулукидзе Н. Блюм.

4. Заведующим отделами просвещения осуществлять строгий контроль за работой руководителей и преподавателей означенных школ, основательно изучить в текущем году учебно-воспитательную работу в этих школах и провести действенные мероприятия для существенного улучшения положения.

5. Текст настоящего приказа опубликовать в газете „Сахалхо Ганатлеба".

ОСНОВАНИЕ: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 7 сентября 1956 года.

Министр просвещения
Грузинской ССР Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1290

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1656 წლის 11 სექტემბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების გაუქმების შესახებ

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ გამოცდების შედეგად მოსწავლეთა ცოდნის შეფასება უმრავლეს შემთხვევაში ემთხვევა წლიურ ნიშნებს. ამდენად კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები იწვევს სასწავლო მეცადინეობით ისედაც ძალზე დატვირთული მოსწავლეების გადატვირთვას, რაც სრულიად გაუმართლებელია.

აქედან გამომდინარე, **ვბრძანებ:**

1. 1956 — 1957 სასწავლო წლიდან გაუქმდეს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები საქართველოს სსრ დაწყებით, შვიდწლიან, საშუალო სკოლებში და აგრეთვე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში; მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა ამიერიდან მოხდეს წლიური ნიშნების საფუძველზე.

2. შემცირდეს გამოსაშვები გამოცდების რაოდენობა. გამოსაშვები გამოცდები ჩატარდეს:

ა) VII კლასი — მშობლიურ ენაში, რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში) — წერა და ზეპირი, ალგებრა-არითმეტიკაში — წერა;

ბ) სიმწიფის ატესტატზე — მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) — წერა, ალგებრაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, უცხო ენაში (გამოსაშვები კლასის პროგრამის ფარგლებში, საშუალო სკოლის წინა კლასების კურსიდან ზოგიერთი ძირითადი საკითხის დამატებით), ისტორიაში (მხოლოდ უკანასკნელი კლასის კურსის ფარგლებში) — ზეპირი.

3. სკოლების სამმართველომ ამ ბრძანების შესაბამისად გადაამუშაოს და გამოსცეს გამოსაშვები გამოცდების ინსტრუქცია.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 1290

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

от 11 сентября 1956 года

Об отмене переводных экзаменов в школах Министерства просвещения Грузинской ССР

Практика показала, что экзаменационные оценки учащихся в большинстве случаев совпадают с годовыми оценками. Переводные испытания создавали и без того перегруженным учащимся перегрузку, что ничем не оправдывалось.

Исходя из этого, ПРИКАЗЫВАЮ:

1. С 1956-1957 учебного года отменить переводные экзамены в начальных, семилетних и средних школах Грузинской ССР, а также в школах рабочей и сельской молодежи и переводить учащихся этих классов в следующие классы по годовым оценкам знаний.

2. Уменьшить количество выпускных экзаменов, выпускные экзамены провести:

а) в VII классе—по родному языку, русскому языку (в не русских школах)—письменно и устно, по алгебре с арифметикой-письменно;

б) на аттестат зрелости—по родной литературе, русской литературе (в нерусских школах)—письменно, алгебре, геометрии, физике, химии, иностранному языку (в объеме программы выпускного класса средней школы с добавлени-

ем некоторых основных вопросов из курса предыдущих классов), по истории (в объеме курса только последнего класса)--устно.

3. Управлению школ в соответствии с настоящим приказом переработать и издать инструкцию о выпускных экзаменах в школах.

Министр просвещения
Грузинской ССР Г. Н. ДЖИБЛАДЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1375

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 27 სექტემბერი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების 1955 — 1956 სასწავლო წლის შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებით, აგრეთვე ადგილებიდან წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ საბავშვო სახლებმა და სპეციალურმა სკოლებმა გასული 1955 — 1956 სასწავლო წელი დამაკმაყოფილებლად დაამთავრეს.

საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლებში გეგმით 1956 წლის 1 ივლისისათვის უნდა ყოფილიყო 3330 აღსაზრდელი, ფაქტიურად აღსაზრდელთა რაოდენობა უდრიდა — 3173. აქედან სასკოლო — 2796 და სკოლამდელი — 377.

სასკოლო ასაკის 2796 აღსაზრდელიდან სკოლაში ჩაბმული იყო 2748, მათ შორის შეფასებულია — 2700, არაა შეფასებული — 48, შეფასებული — 2700 აღსაზრდელიდან ასწრებს — 2625, მათ შორის 5-ზე — 318, 4-ზე — 636, 3-ზე — 1771, დატოვებულია იმავე კლასში — 75, ამრიგად აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება უდრის 97,3%.

წინა წლებთან შედარებით გაიზარდა იმ საბავშვო სახლების რიცხვი, რომლებიც აღწევენ 100 % -იან მოსწრებას. ასეთებია — ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი, კოჯრის № 1, 4, 5, 6, მახარაძის, ვაშლოვანის, თელავის, კარდანახის და ნორიოს საბავშვო სახლები. 100%-იანი მოსწრების მქონე საბავშვო სახლის აღმზრდელებიდან თავისი კარგი მუშაობით გამოირჩევიან: მ. ბებნაძე, ელ. დოლიძე, ლ. გოგიტიძე (მახარაძის საბავშვო სახლი), ბ. მენთეშაშვილი, თ. ბარბაქაძე, ზ. ახვლედიანი (ვაშლოვანის საბავშვო სახლი), მ. ქოიავა, ნ. მენთეშაშვილი, ქ. კალანდაძე (კოჯრის № 1 საბავშვო სახლი), მ. პეტროვა, ა. სოროკინა, თ. კულინიჩი (კოჯრის № 4 საბავშვო სახლი), ვ. ოლეინიკოვა და ლ. კაზაკოვა (კოჯრის № 5

საბავშვო სახლი), ვ. სტადნიჩენკო, ზ. ბოიკინა, ლ. კრიჟანოვსკაია (კოჯრის № 6 საბავშვო სახლი), თ. პაპიაშვილი, ნ. მარტაშვილი (ვარ-დანახის საბავშვო სახლი), ი. ჭიაურელი, მ. ჩიქოვანი (ულიანოვსკა-თა სკოლა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი აკადემიური წარმატება აქვს აგრეთვე მოპოვებული ქ. თბილისის ყრუმუნჯთა სკოლა-ინტერნატს, განთიადის, ბათუმის, ქურთის, საჩხერის, ჩოხატაურის საბავშვო სახლებსა და ქალაქ თბილისის № 2 დამხმარე სკოლას.

ამ დაწესებულებების აღმზრდელებიდან გულმოდგინედ მუშაობენ: განთიადის საბავშვო სახლში მ. ფილიპოვა, ი. ბაევა და მუშკუდიანი. საჩხერის — ე. ქამუშაძე, დ. გოგიტიშვილი და ნ. ტინტილოზოვა, ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნანტში—ა. ამაღლობელი, ა. ფეიქრიშვილი, შ. ცინცაძე, ქ. ჭარხალაშვილი, მ. ქაჩიბაია, ყრუმუნჯთა სკოლაში — ე. ბაქრაძე, მ. გორგასლიძე, ლ. ლორთქიფანიძე.

გაძლიერდა საშეფო ორგანიზაციების მუშაობა. კარგად მუშაობენ კოჯრის № 5 საბავშვო სახლის შეფი — ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხანა, კოჯრის № 6 საბავშვო სახლის—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, კოჯრის № 1 საბავშვო სახლის — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო, კოჯრის № 2 საბავშვო სახლის — „ცეკავშირი". ყველა ზემოაღნიშნული საშეფო ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ საბავშვო სახლებს.

მიუხედავად ამ ერთგვარი მიღწევებისა, ჯერ კიდევ არის ისეთი საბავშვო სახლები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვა და სასწავლო წელი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს. ლენინგორის საბავშვო სახლის 61 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 6, სწავლაში არაა ჩაბმული 10; სურამის 120 აღსაზრდელიდან—6; ბორჯომის 65 აღსაზრდელიდან — 8.

ბორჯომის, ჩოხატაურის, ლენინგორის, სურამის საბავშვო სახლებსა და ახალციხის, სიღნაღის, ქუთაისის, ზედარგანის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომის ოთახები არაა უზრუნველყოფილი საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალით. ამ საბავშვო სახლებსა და სკოლა-ინტერნატებში შრომითი აღზრდისა და სწავლების საქმე ჯერ კიდევ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ნორიოს, სურამის და ვაშლოვანის საბავშვო სახლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სამედიცინო მომსახურების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლის დირექტორები ქმედით ზომებს არ ღებულობენ ასაკგადაცილებულ აღსაზრდელთა სამუშაოზე მოწყობისათვის.

მახინჯაურის, გეგეჭკორის, ზუგდიდის და კოჯრის №№ 3, 4, 5 საბავშვო სახლები და ქუთაისის სკოლა-ინტერნატი უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან განათლების სამინისტროში საჭირო მასალების დროულად წარმოდგენის საქმეს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების დირექტორებმა გაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენება მოწინავე საბავშვო სახლების ურთიერთ გამოცდილების გაზიარების საფუძველზე;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ ზოგადტექნიკური შრომითი სახელოსნოების მუშაობა პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა საფუძველზე, არ დაუშვან აღსაზრდელთა შრომაში ჩაუბმელობის არცერთი შემთხვევა;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის;

დ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა კვების გაუმჯობესებაზე. მტკიცედ იბრძოლონ იმისთვის, რომ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეუფერხებლად მოამარაგონ საბავშვო სახლები და სპეცსკოლა-ინტერნატები კვების პროდუქტებით დადგენილი ნორმების მიხედვით.

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ჩინჩალაძე):

ა) უზრუნველყოს საბავშვო სახლები, აღსაზრდელთა შემადგენლობის შესაბამისად, კვალიფიციური კადრებით.

ბ) გაატაროს ქმედითი ღონისძიება საბავშვო სახლებში დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად და არსებული დამხმარე მეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გ) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) მ/წლის 15 ოქტომბრამდე წარმოადგინოს პროექტი საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების შრომითი სწავლებისათ-

ვის საჭირო სასწავლო მატერიალური ბაზის შექმნისათვის სათანა-
დო დაფინანსების უზრუნველყოფის შესახებ.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (უფ-
როსი ამხ. ს. არველაძე) უზრუნველჰყოს საბავშვო სახლებისა და
სპეცსკოლა-ინტერნატების სასწავლო შრომითი სახელოსნოების
და სასოფლო-სამეურნეო სწავლებისათვის საჭირო იარაღ-მოწყო-
ბილობით მომარაგება.

5. დაევალოს საბავშვო სახლების ელფია-ბეთანიის დამხმარე
მეურნეობის დირექტორს (ამხ. გ. ფალავანდიშვილი) მიაწოდოს სა-
ბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების დამხმარე მეურნე-
ობებს ბოსტნეულის თესლები და სანერგე მასალა.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1956 წლის 21 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე მ. ბურჭულაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1422

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 6 ოქტომბერი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლის წესდების დამტკიცების შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 29 სექტემბრის № 556 შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლის წესდება.

2. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას წესდება დაიყვანოს თითოეულ საბავშვო სახლამდე.

3. წესდება დაიბეჭდოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა კრებულში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 25 სექტემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1956 წლის 25/IX ოქმი № 49

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლის

წ ე ს დ ე ბ ა

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებები

§ 1. საბავშვო სახლი არის სახელმწიფო აღმზრდელობითი დაწესებულება.

§ 2. საბავშვო სახლი ახორციელებს სკოლამდელ და სკოლის ასაკის ბავშვთა კომუნისტურ აღზრდას, ამზადებს რა ყოველმხრივ განვითარებულ, პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადებულ, დისციპლინიან, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ, კომუნისტური საზოგადოების მომავალ მშენებლებს.

§ 3. საბავშვო სახლების ძირითადი ტიპებია:

ა) სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი;

ბ) სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნათესაურ კავშირში მყოფი ბავშვები (ძმები, დები), თავსდებიან ერთ საბავშვო სახლში მათი ასაკის მიუხედავად.

§ 4. საბავშვო სახლი არსდება და უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დადგენილებით ხალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად.

საბავშვო სახლს დაერქმევა იმ სოფლისა და ქალაქის სახელი, რომელშიაც ის იმყოფება. ქალაქებში, სადაც რამდენიმე საბავშვო სახლია, თითოეულ მათგანს მიეკუთვნება რიგითი ნომერი.

თითოეულ საბავშვო სახლში სკოლის ასაკის ბავშვთათვის გარდა საყოფაცხოვრებო სათავსოებისა უნდა იყოს სამეცადინო ოთახები, პიონერთა ოთახი, სასწავლო საწარმოო სახელოსნოები, სასპორტო მოედანი და საცდელი ნაკვეთი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლის ეზოში უნდა მოეწყოს სათამაშო მოედანი.

ყველა ტიპის საბავშვო სახლთან უნდა მოეწყოს დამხმარე მეურ-

ნეობა, რომელიც იმუშავებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 5. საბავშვო სახლს ინახავს სახელმწიფო. ის იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათლების განყოფილების ბიუჯეტზე.

§ 6. საბავშვო სახლში ბავშვთა კონტინგენტს აწესებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თითოეული აღსაზრდელისათვის დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სავალდებულო დაცვით, მაგრამ არა ნაკლებ 60 კაცისა სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში და არა ნაკლებ 50 კაცისა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში.

თავი II

აღსაზრდელთა მიღება და გამოშვება

§ 7. საბავშვო სახლში მიიღებიან:

ა) ბავშვები, რომელთაც არ ჰყავთ მშობლები, ან გაწყვეტილი აქვთ მათთან კავშირი;

ბ) ბავშვები, რომელთაც ოჯახში არ აქვთ აღზრდისათვის აუცილებელი პირობები (მშობლების ავადმყოფობა, მათთვის მშობლის უფლების ჩამორთმევა და სხვა მიზეზები);

გ) ბავშვები მარტოხელა დედებისა, რომელთაც სურთ თავიანთი შვილები მოათავსონ საბავშვო სახლში.

§ 8. საბავშვო სახლში მიიღებიან ბავშვები 3 — 17 წლის ასაკამდე (ჩათვლით).

§ 9. საბავშვო სახლში ბავშვები მიიღებიან მოსახლეობიდან, ბავშვთა სახლებიდან და ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლებიდან.

საბავშვო სახლში მიღება წარმოებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურებით.

საგზურები გაიცემა რაიონის, ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჩვილ ბავშვთა სახლის, ან ბავშვთა მიმღებ-განმანაწილებლის მომართვის საფუძველზე ბავშვის საბავშვო სახლში მოთავსების აუცილებლობის შესახებ. მომართვას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ა) დაბადების მოწმობა, გაცემული მმაჩის, სოფლის ან სადაბო საბჭოს მიერ (გამონაკლისის სახით შეიძლება წარდგენილ იქნეს საექიმო კომისიის დასკვნა ბავშვის ასაკის შესახებ); ბ) ჯანმრთელობის ცნობა ანალიზების დართვით სამედიცი-

ნო შემოწმების შესახებ (სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ინსტრუქციის შესაბამისად). გ) განათლების ცნობა სკოლიდან (სკოლის ასაკის ბავშვთათვის); დ) ცნობა მშობლების ან ახლო ნათესავების შესახებ; ე) ბავშვის ქონების (თუ ასეთი მოეპოვება) აღწერილობა აღნიშვნით, თუ სად არის ქონება და როგორი ზომებით მიღებული მის დასაცავად; ვ) საპენსიო წიგნაკები იმ ბავშვებისა, რომლებიც იღებდნენ პენსიას საბავშვო სახლში შემოსვლამდე; საჩალხო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ალიმენტის მიღების შესახებ ბავშვზე.

§ 10. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის დაბადების მოწმობა არ მოიპოვება, საბავშვო სახლის დირექტორი ვალდებულია ერთი თვის ვადაში ბავშვის მიღებიდან გააფორმოს აღსაზრდელის ასაკის დამდგენი დოკუმენტები.

§11. აღსაზრდელების გადაყვანა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლებიდან სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლებში წარმოებს 1-ლი აგვისტოდან 30 აგვისტომდე, ხოლო ჩვილ ბავშვთა სახლებიდან სკოლამდელი ასაკის საბავშვო სახლებში 1-ლ აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე.

§ 12. ფსიქიურად ავადმყოფი და ნერვებდაავადებული ბავშვები, ჭონებით ჩამორჩენილები, ყრუმუნჯები, სმენა ჩლუნგი, ბრმები, და ინვალიდები, რომლებიც საჭიროებენ აღზრდისა და სწავლების განსაკუთრებულ პირობებს ან განსაკუთრებულ მოვლას, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საერთო ტიპის საბავშვო სახლებში არ მიიღებიან. ისინი იგზავნებიან სპეციალურ საბავშვო დაწესებულებებში.

§ 13. საბავშვო სახლში ინფექციურ დაავადებათა შეტანის თავიდან ასაცილებლად ყველა ახალმიღებული აღსაზრდელი გაივლის საბავშვო სახლში დაწესებულ კარანტინს იზოლირებულ ბინაში.

§ 14. საბავშვო სახლის აღსაზრდელთა გამოშვებას ახდენს დირექტორი პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

§ 15. საბავშვო სახლიდან გამოსაშვები აღსაზრდელები (ასაკს მიღწეულები ან საშუალო სკოლადამთავრებულები) იგზავნებიან სამუშაოდ სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ტექნიკურ, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო სკოლებში, სუვოროველთა და ნახიმოველთა სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

საბავშვო სახლიდან გამოიშვებიან:

ა) აღსაზრდელები, რომელთაც მიაღწიეს 18 წლის ასაკს;

ბ) აღსაზრდელები, რომელთაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აღსაზრდელები, რომლებიც ბარდებიან მშობლებს ან ახლო ნათესავებს, მშვილებლებს მშრომელთა ოჯახებიდან ან გადაეცემიან პატრონატზე ან მზრუნველებზე.

აღსაზრდელთა გამოშვება, როგორც წესი, ხდება სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ.

§ 16. საბავშვო სახლი ახდენს აღსაზრდელთა ჩაბარებას მშობლებსა ან ახლო ნათესავებზე შემდგომი აღზრდისათვის, აგრეთვე გაშვილებას მშრომელთა ოჯახებში და პატრონატსა ან მეურვეობის ქვეშ გადაცემას.

§ 17. საბავშვო სახლებიდან აღსაზრდელებს ეძლევათ შემდეგი დოკუმენტები:

ა) დაბადების მოწმობა,

ბ) 16 წლის ასაკს მიღწეულ აღსაზრდელებს აგრეთვე პასპორტი;

გ) ცნობა საბავშვო სახლში ყოფნის შესახებ;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ე) მოწმობა ან ცნობა სასწავლებლიდან განათლების შესახებ;

ვ) მშობელთა საპენსიო წიგნაკი, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ალიმენტის დანიშვნის შესახებ, ქონების აღწერილობა, თუ ასეთი ჰქონდა აღსაზრდელს.

§ 18. სასწავლებელში შემსვლელ ან სამუშაოზე მოსაწყობ აღსაზრდელებს საბავშვო სახლი უზრუნველყოფს ტანისამოსითა და ფულადი დახმარებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

მშობლებზე გადაცემულ აღსაზრდელებს ეძლევათ ერთი ხელი (სეზონის მიხედვით) ტანისამოსი, ფეხსაცმელი და საცვლები.

თავი III.

ბავშვთა აღზრდა საბავშვო სახლში

§ 19. სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი:

ა) უზრუნველყოფს აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ბ) უზრუნველყოფს ყველა ბავშვის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და ეხმარება სკოლას აღსაზრდელთა წარმატებით სწავლაში; სისტემატურად ატარებს ბავშვებთან პოლიტიკურ-

აღმზრდელობითსა და კულტურულ-მასობრივ მუშაობას, აბამს ბავ-
შვებს საზოგადოებრივ მუშაობაში;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) ახორციელებს ბავშვთა სისტემატურ შრომით აღზრდას მათი ასაკის შესაბამისად, ზრდის მათში შრომისადმი პატივისცემას და სიყვარულს, ნერგავს მათში ცხოვრებისათვის აუცილებელ ჩვევებს და ამით ამზადებს ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომითი მოღვაწეობისათვის. საბავშვო სახლში შრომითი აღზრდა ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე.

დ) ზრდის ბავშვებში მზრუნველობით დამოკიდებულებას სოციალისტური საკუთრებისადმი, დისციპლინიანობას, ორგანიზაციულობას, ამხანაგობისა და მეგობრობის გრძნობას, სიძნელეთა დაძლევის უნარს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა წესების შესრულებას აღსაზრდელთა მიერ.

საბავშვო სახლი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ყველა საკითხს წყვეტს იმ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან მჭიდრო კავშირში, რომელშიაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლობენ.

§ 20. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლი უზრუნველყოფს აღსაზრდელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ბავშვთა სწორ ფიზიკურ განვითარებას, მათში კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების გამომუშავებას, სწორი მეტყველების განვითარებას და ბავშვთა მომზადებას სკოლაში სწავლისათვის. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლში აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებთან ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პროგრამულ-მეთოდური მითითებების (საბავშვო ბაღების მუშაობის შესახებ) შესაბამისად.

§ 21. საბავშვო სახლების აღსაზრდელები დაიყოფიან ჯგუფებად.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯგუფების დაკომპლექტება ხდება ასაკის მიხედვით 20 — 25 ბავშვის რაოდენობით თითოეულ ჯგუფში, სკოლის ასაკის ბავშვთა ჯგუფები დაკომპლექტდება 30 — 40 ბავშვის რაოდენობით იმ აღსაზრდელებისაგან, რომელნიც სწავლობენ მოსაზღვრე კლასებში;

თითოეულ ჯგუფში ინიშნება 2 მუდმივი აღმზრდელი.

§ 22. საბავშვო სახლში შემოღებულ უნდა იქნეს დღის რეჟიმი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საბავშვო სახლისათვის დამტკიცებული ტიპიური რეჟიმის შესაბამისად.

§ 23. სკოლის ასაკის ბავშვთა საბავშვო სახლის აღსაზრდელები ვალდებულნი არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) განუხრელად შეასრულონ მთავრობის მიერ დამტკიცებული „წესები მოსწავლისათვის“;

ბ) ბეჯითად ისწავლონ სკოლაში;

გ) ზუსტად და წესიერად შეასრულონ დავალებული სამუშაოები სახელოსნოში, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთზე და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახით;

დ) შეასრულონ დირექტორის ყველა განკარგულება, პედაგოგებისა, სამედიცინო და მომსახურე პერსონალის ყველა მითითება;

ე) დაიცვან საბავშვო სახლის ქონება და პირადი სარგებლობის ნივთები;

ვ) დაიცვან სისუფთავე და წესრიგი საბავშვო სახლში, საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩაში.

§ 24. საბავშვო სახლში აღსაზრდელთათვის შემოღებულია შემდეგი წამახალისებელი ღონისძიებანი.

ა) ქება აღმზრდელისა, დირექტორის მოადგილისა სასწავლო-საღმზრდელო დარგში და დირექტორის მიერ.

ბ) საბავშვო სახლის დირექტორის წერილობითი მადლობა, რომელიც ცხადდება აღსაზრდელთა ჯგუფის ან საერთო კრების წინაშე;

გ) დაჯილდოება საჩუქრებით (წიგნი, მაგიდის სათამაშო და სხ.).

§ 25. დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში ცალკეული აღსაზრდელების მიმართ შეიძლება მიღებულ იქნეს დასჯის შემდეგი ზომები:

ა) ქება აღმზრდელის, დირექტორის მოადგილის სასწავლო-საღმზრდელო დარგში და დირექტორის მიერ.

ბ) სიტყვიერი საყვედურის გამოცხადება ჯგუფის წინაშე აღმზრდელის, დირექტორის მოადგილის და დირექტორის მიერ;

გ) პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე აღსაზრდელის გამოძახება ჩაგონებისათვის;

დ) დირექტორის საყვედური ბრძანებით საბავშვო სახლისადმი;

ე) დირექტორის გაფრთხილება აღსაზრდელის სპეციალურ საღმზრდელო დაწესებულებაში გადაგზავნის შესაძლებლობის შესახებ.

ვ) აღსაზრდელთა გადაგზავნა სპეციალურ საღმზრდელო დაწესებულებაში პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV.

ბავშვთა ორგანიზაციები

§ 26. თითოეულ საბავშვო სახლში პიონერული ასაკის აღსაზრდელთათვის ყალიბდება პიონერული რაზმეული.

პიონერული რაზმეული მუშაობს ალკკ რაიონული და საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელობით. ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ ალკკ ყრილობების დადგენილებათა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე.

§ 27. პიონერული რაზმეულის მუშაობა საბავშვო სახლში იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ გაეწიოს დახმარება პედაგოგიურ მუშაკებს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ამოცანების განხორციელებაში და მათი შემოქმედების განვითარებაში.

§ 28. საბავშვო სახლის პიონერული რაზმეულის სამუშაო გეგმას განიხილავს პედაგოგიური საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

§ 29. საბავშვო სახლის პიონერული რაზმეული თავის მუშაობას აწარმოებს იმ სკოლის პიონერულ რაზმეულთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელშიაც საბავშვო სახლის აღსაზრდელები სწავლობენ.

§ 30. საბავშვო სახლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში და აღმზრდელები ხელს უნდა უწყობდნენ პიონერების ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას, ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ პიონერულ რაზმს და ქმნიდნენ აუცილებელ პირობებს მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

§ 31. საბავშვო სახლის აღსაზრდელები—ალკკ წევრები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საბავშვო სახლის პიონერულ რაზმეულს.

§ 32. სკოლის ასაკის ბავშვთა თითოეულ საბავშვო სახლში ყალიბდება ბავშვთა საბჭო.

ბავშვთა საბჭო ორგანიზდება და მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალური დებულების საფუძველზე.

§ 33. ბავშვთა საბჭოს საბავშვო სახლში ხელმძღვანელობს უშუალოდ დირექტორი.

§ 34. ბავშვთა საბჭო:

ა) ეხმარება პედაგოგიურ კოლექტივს, რომ აღზარდოს ბავშვებში შეგნებული დისციპლინა, როგორც საბავშვო სახლში, ისე სკოლაში, ეხმარება საზოგადოებრივი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებაში, კულტურული ქცევის ჩვევათა დანერგვაში ბავშვთა შორის და ყველა აღსაზრდელის დარაზმვაში მეგობრულ და შეგნებულ კოლექტივად;

ბ) უზრუნველყოფს ბავშვების მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული ღონისძიებების მომზადებასა და გატარებაში.

გ) იზიდავს აღსაზრდელებს მონაწილეობა მიიღონ სამეურნეო ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც მიმართულია საბავშვო სახლის კეთილმოწყობისა და მასში წესრიგისა და მყუდროების შექმნისაკენ;

დ) ხელმძღვანელობს ჯგუფების მამასახლისთა მუშაობას, აგრეთვე იმ კომისიებისას, რომლებიც იქმნება ბავშვთა საბჭოსთან, აწესებს უფროსი აღსაზრდელების მორიგეობას მორიგე აღმზრდელების დასახმარებლად;

ე) აძლევს საზოგადოებრივ დავალებებს როგორც ცალკე აღსაზდელებს, ისე აღსაზრდელთა ჯგუფებს;

ვ) ახდენს ამხანაგურ ზეგავლენას ცალკეულ აღსაზრდელებზე, რომლებიც არღვევენ საბავშვო სახლსა და სკოლაში დადგენილ წესებს.

§ 35. ბავშვთა საბჭო თავის სამუშაო გეგმას უფარდებს პიონერული რაზმეულის სამუშაო გეგმას. ბავშვთა საბჭოს სამუშაო გეგმას ამტკიცებს საბავშვო სახლის დირექტორი.

თავი V.

საბავშვო სახლის თანამდებობის პირები

დირექტორი

§ 36. საბავშვო სახლის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

§ 37. საბავშვო სახლის დირექტორს უნდა ჰქონდეს უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

§ 38. დირექტორი არის საბავშვო სახლის ხელმძღვანელი: ის

ორგანიზებს საბავშვო სახლის მთელ მუშაობას ამ წესდების შესაბამისად და პასუხისმგებელია:

ა) ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნავს აუცილებელი პირობების შექმნისათვის ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და აღზრდის უზრუნველსაყოფად;

ბ) საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაზე აღსაზრდელთა შორის და სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს მათ წარმატებით სწავლებასა და აღზრდას;

გ) სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის, შრომითი აღზრდისა და სწავლების სწორად დაყენებაზე, აღსაზრდელების მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის აუცილებელი ჩვევებისა და უნარის გამომუშავებაზე;

დ) საბავშვო სახლის სამეურნეო მდგომარეობასა და სახანძრო უშიშროების მოთხოვნათა შესრულებას.

§ 39. საბავშვო სახლის დირექტორი ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს და ხელს უწყობს საბავშვო სახლის თანამშრომელთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ხელმძღვანელობს მეთოდურ მუშაობას, ინსტრუქტაჟსა და კონტროლს უწევს აღმზრდელთა, წრის ხელმძღვანელთა, შრომის ინსტრუქტორთა მუშაობას, ამტკიცებს მათ სამუშაო გეგმებს.

§ 40. დირექტორი საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარეა და ხელმძღვანელობს მის მუშაობას.

§ 41. საბავშვო სახლის დირექტორი იმ სკოლის პედაგოგიური საბჭოს წევრია, სადაც სწავლობს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა უმრავლესობა, და იღებს აქტიურ მონაწილეობას სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში.

§ 42. დირექტორი ყოველდღიურ დახმარებას უწევს პიონერულ ორგანიზაციას მუშაობაში, მონაწილეობს რაზმეულის საბჭოებისა და რაზმეულის შეკრებების ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებაში, ამტკიცებს პიონერული რაზმეულის სამუშაო გეგმას.

§ 43. დირექტორს სისტემატური კავშირი აქვს საბავშვო სახლიდან გამოშვებულ აღსაზრდელებთან, თვალყურს ადევნებს მათ სწავლას და საწარმოო კვალიფიკაციის მიღებას.

§ 44. დირექტორი ვალდებულია დაიცვას საბავშვო სახლის აღსაზრდელთა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები.

§ 45. დირექტორი არის საბავშვო სახლისათვის გამოყოფილი

კრედიტების განმკარგულებელი და უზრუნველყოფს თანხების სწორ ხარჯვას საშტატო განრიგისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 46. დირექტორს უფლება აქვს:

ა) წარადგინოს განათლების სამინისტროში კანდიდატები დირექტორის მოადგილის, აღმზრდელების, უფროსი პ/ხელმძღვანელის, წრეების ხელმძღვანელთა, შრომის ინსტრუქტორის, მეურნეობის გამგის, ბუხჰალტრის ვაკანტურ ადგილებზე დასამტკიცებლად, ან საჭიროების შემთხვევაში მათ განსათავისუფლებლად.

ბ) მიიღოს სამუშაოზე და დაითხოვოს საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალი დადგენილი წესის მიხედვით;

გ) გამოუცხადოს მადლობა საბავშვო სახლის მუშაკებს, დადგენილი წესით წარადგინოს აღმზრდელები და დირექტორის მოადგილე მთავრობის ჯილდოზე;

დ) დაადვას დისციპლინარული სასჯელი თანამშრომლებს შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

§ 47. საბავშვო სახლის დირექტორის განკარგულებანი სავალდებულოა საბავშვო სახლის ყველა თანამშრომლისათვის და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ განათლების სამინისტროს მიერ.

§ 48. საბავშვო სახლის დირექტორი ყოველმხრივ ეხმარება შუშაობაში საბავშვო სახლის პროფესიულ ორგანიზაციას.

დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში

§ 49. დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საალმზრდელო დარგში ნიშნავს და აფავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარის, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილება საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით.

§ 50. საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში, ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და პედაგოგიური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ 3 წლისა.

§ 51. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია საალმზრდელო მუშაობის დაყენებაზე საბავშვო სახლში. ის ინსტრუქტაჟს და კონტროლს უწევს აღმზრდელებს, წრეების ხელმძღვანელებს, შრომის ინსტრუქტორებს, უფროს პ/ხელმძღვანელს სასწავლო საალმზრდელო მუშაობაში. სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას წარმართავს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შეგნებული

დისციპლინა, აღმზრდელთა მაღალი აკადემიური მოსწრება და მათი აქტიური მონაწილეობა სკოლის გარეშე, კულტურულ-მასობრივსა და სასპორტო-ფიზკულტურულ მუშაობაში, ეხმარება მშობელთა ბავშვთა საბჭოს და პიონერთა ორგანიზაციას, თვალყურს ადევნებს აღსაზრდელთა პირადი საქმეების სწორად წარმოებას, ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის აღმზრდელთა შორის მეთოდურ მუშაობას, განაზოგადებს აღმზრდელთა მუშაობის გამოცდილებას. აწყობს გამოცდილების გაზიარებას როგორც საბავშვო სახლის შიგნით, ისე მის გარეთ; საბავშვო სახლის დირექტორის არყოფნის დროს ასრულებს მის მოვალეობას.

საბავშვო სახლის აღმზრდელები

§ 52. საბავშვო სახლის აღმზრდელებს ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათ. განყოფილება (დაქვემდებარების მიხედვით) იმ პირთაგან, ვისაც აქვს საშუალო პედაგოგიური (უმცროსი კლასების მოსწავლეთაგან შემდგარი საალმზრდელო ჯგუფებისათვის) და უმაღლესი პედაგოგიური განათლება (საშუალო და მაღალი კლასების მოსწავლეთაგან შემდგარ საალმზრდელო ჯგუფებისათვის).

§ 53. საბავშვო სახლის აღმზრდელი:

ა) ატარებს ყოველდღიურ აღმზრდელობით მუშაობას მისთვის ჩაბარებული ჯგუფის ბავშვებთან, ყოველმხრივ სწავლობს თითოეულ მათგანს, ზრუნავს მათზე, უზრუნველყოფს ბავშვთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით;

ბ) პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ნერგავს ბავშვებში პირადი ჰიგიენის ჩვევებს, მონაწილეობას იღებს სათანადო პირობების შექმნაში ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და აღზრდისათვის;

გ) ხელმძღვანელობს საშინაო დავალების შესრულებას აღსაზრდელების მიერ, ასწავლის მათ გაკვეთილების დამოუკიდებლად მომზადებას, რეგულარულ კავშირშია კლასის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებთან;

დ) ატარებს თავისი ჯგუფის ბავშვებში სკოლის გარეშე მუშაობას, ნერგავს მათში შრომის ჩვევებსა და უნარს, აორგანიზებს

ბავშვების მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში როგორც საბავშვო სახლში, ისე მის გარეთ;

ე) ზრდის ბავშვებში სათუთ დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ტური საკუთრებისა და პირადი სარგებლობის საგნებისადმი;

ვ) უწევს ყოველდღიურ დახმარებას პიონერულ რაზმეულს, მონაწილეობს პიონერული რაზმების სამუშაო გეგმების შედგენაში, რაზმეულის საბჭოსა და რაზმების შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში;

ზ) ადგენს ბავშვებთან მუშაობის გეგმებს და მათი შესრულების ანგარიშებს.

საბავშვო სახლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

§ 54. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავენ და ათავისუფლებენ სამუშაოდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, საქართველოს ალკკ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით.

§ 55. უფროსი პიონერხელმძღვანელი ინიშნება იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ პედაგოგიური განათლება და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

§ 56. უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს საქართველოს ალკკ საქალაქო და რაიონული კომიტეტების, საბავშვო სახლის დირექტორისა და მისი მოადგილის სასწავლო-საალმზრდელო დარგში ხელმძღვანელობისა და კონტროლის ქვეშ.

§ 57. უფროსი პიონერხელმძღვანელი ხელმძღვანელობს საბავშვო სახლის პიონერული რაზმეულის მუშაობას საბავშვო სახლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პიონერული მუშაობის გეგმის საფუძველზე.

შრომის ინსტრუქტორი

§ 58. შრომის ინსტრუქტორს ნიშნავენ და ათავისუფლებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის განათლების განყოფილება (საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით) საბავშვო სახლის დირექტორის წარდგენით;

§ 59. შრომის ინსტრუქტორი ინიშნება თავის სპეციალობაში კვა-

ლიფიკაციის მქონე პირთაგან, რომელთაც აქვთ საშუალო განათ-
ლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

§ 60. შრომის ინსტრუქტორი:

ა) ახორციელებს სისტემატურ შრომითს აღზრდასა და სწავ-
ლებას დადგენილი პროგრამების მიხედვით;

ბ) პასუხისმგებელია სახელოსნოს მოწყობილობის დაცვაში, მასალის რაციონალურად დაზოგვით ხარჯვაში; აწარმოებს სახელ-
სნოს საინვენტარო და მატერიალურ წიგნს.

გ) ადგენს შრომითი აღზრდისა და სწავლების გეგმებს და ატარებული მუშაობის ანგარიშებს შემოღებული წესის მიხ-
ედვით.

ექიმი და სამედიცინო და

§ 61. ექიმსა და სამედიცინო დას ნიშნავს და ათავისუფლებს სამუშაოდან საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათ. განყოფილება ჯანმრთელობის ორგანო-
ების წარდგენით, საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით.

§ 62. ექიმი პასუხისმგებელია აღსაზრდელთა ჯანმრთელობაზე, იგი სისტემატურად აწარმოებს საბავშვო სახლში სამკურნალო — პროფილაქტიკურ მუშაობას. საბავშვო სახლში ატარებს აღსაზრ-
დელთა ღრმა საექიმო შემოწმებას ორჯერ წელიწადში, ღებულობს ზომებს ავადმყოფი აღსაზრდელების დროული ჰოსპიტალიზაციი-
სათვის; კონტროლს უწევს ბავშვთა შრომით დატვირთვას და მათ მიერ დღის რეჟიმის დაცვას, აღსაზრდელების კვების ხარისხს, საბავშვო სახლის ყველა შენობისა და მისი ნაკვეთის სანიტარულ მდგომარეობას.

საბავშვო სახლის ექიმის დამხმარედ ინიშნება სამედიცინო და, რომელიც ასრულებს სამუშაოს მისი მითითებით.

მნე

§ 63. საბავშვო სახლის მნეს ნიშნავს საქართველოს სსრ განათ-
ლების, აჭარის და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათ. განყოფილება (დაქვემდებარე-
ბის მიხედვით) საბავშვო სახლის დირექტორის წარდგენით.

მნე უზრუნველყოფს:

ა) ქონების დაცვას და მის წესიერ გამოყენებას, საბავშვო სახ-

ლის შენობებსა და ტერიტორიაზე აუცილებელი სანიტარული პირობების დაცვას, შენობის, დგამისა და სხვა ინვენტარის შეკეთებას, კვების პროდუქტების, ტანისამოსის, სათამაშოების, სახელოსნოებისათვის მასალის დროულად შეძენას და ადგილზე მიტანას;

ბ) მომსახურე პერსონალის მუშაობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს, ხანძარსაწინააღმდეგო ზომების გატარებას.

ბუხჰალტერი

§ 64. საბავშვო სახლის ბუხჰალტერს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების, აჭარის და აფხაზეთის განათლების სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის განათ. განყოფილება (საბავშვო სახლის დაქვემდებარების მიხედვით).

§ 65. საბავშვო სახლის ბუხალტერი აწარმოებს მატერიალურ-ფინანსიურ აღრიცხვასა და ანგარიშგებას, დირექტორის თანაბრად პასუხისმგებელია ფულადი სახსრების სწორად ხარჯვასა და მატერიალურ-ფინანსიური ანგარიშგების მდგომარეობაზე.

მომსახურე პერსონალი

§ 66. მომსახურე პერსონალს ნიშნავს და სამუშაოდან ათავისუფლებს საბავშვო სახლის დირექტორი.

§ 67. მომსახურე პერსონალის ვალდებულებებს განსაზღვრავს საბავშვო სახლის დირექტორის მიერ დამტკიცებული . და პროფესიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებული შინაგანაწესი.

§ 68. საბავშვო სახლის მთელი პერსონალი სამ თვეში ერთხელ გადის სამედიცინო შემოწმებას, სამზარეულოს მუშაკები კი ყოველთვიურად.

თავი VI.

პედაგოგიური საბჭო

§ 69. თითოეულ საბავშვო სახლში იქმნება პედაგოგიური საბჭო. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: საბავშვო სახლის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე), დირექტორის მოადგილე სასწავლო-საალმზრდელო დარგში, უფროსი პიონერხელმძღვანელი, აღმზრდელები, შრომის ინსტრუქტორები, საწრეო მუშაობის ხელმძღვანელები, საბავშვო სახლის ექიმი, მნე, იმ სკოლის დირექტორი, რომელშიაც სწავლობენ საბავშვო სახლის აღსაზრდელები და მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე.

§ 70. პედაგოგიური საბჭოს ამოცანას შეადგენს: ღონისძიებათა დასახვა, რომლებიც უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა და ბრძანებათა შესრულებას საბავშვო სახლების მუშაობის შესახებ, საბავშვო სახლისა და სკოლის საერთო საკითხების განხილვა, აღმზრდელების, უფროსი პიონერხელმძღვანელის, წრეების ხელმძღვანელების, შრომის ინსტრუქტორებისა და საექიმო პერსონალის ანგარიშების მოსმენა და განხილვა, აღმზრდელთა საექიმო შემოწმების შედეგებისა და ბავშვთა ჯანმრთელობის გამტკიცების ღონისძიებათა დასახვა, აღსაზრდელთა მიღებისა და გამოშვების საკითხების განხილვა, საალმზრდელო და პიონერული მუშაობის საუკეთესო გამოცდილების განზოგადება და სხვა პედაგოგიური საკითხების გარჩევა.

საბავშვო სახლი და სკოლა პერიოდულად აწყობს პედაგოგიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომებს.

§ 71. საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭო მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით.

თავი VII.
მზრუნველთა საბჭო

72. თითოეულ საბავშვო სახლთან არსებობს მზრუნველთა საბჭო, რომელიც ყალიბდება და მუშაობს საქ. სსრ განათლების სამინისტროს შესაბამის დებულების საფუძველზე.

თავი VIII.
დაფინანსება, ანგარიშგება და საქმის წარმოება

§ 73. თითოეულ საბავშვო სახლს აქვს თავისი წლიური ხარჯების ხარჯთაღრიცხვა, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, საბავშვო სახლების დაქვემდებარების მიხედვით.

§ 74. საბიუჯეტო სახსრების გარდა საბავშვო სახლს შეუძლია ჰქონდეს სპეციალური საშუალებები, რომლებსაც ხარჯავს დადგენილი წესის შესაბამისად.

§ 75. საბავშვო სახლის ყველა ქონებრივ-მატერიალური ფასეულობა (შენობები, მოწყობილობა, ტანისამოსი და სხ.) სახელმწი-

ფოს საკუთრებას შეადგენს. ქონებრივ-მატერიალურ ფასეულობათა დაცვაზე პერსონალურად პასუხისმგებელი არიან დირექტორი და მატერიალურად პასუხისმგებელი სხვა პირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 76. საბავშვო სახლი აწარმოებს:

ა) ბრძანების წიგნს;

ბ) აღსაზრდელთა აღრიცხვის წიგნს;

გ) აღსაზრდელთა პირად საქმეებს;

დ) საბავშვო სახლის თანამშრომელთა პირად საქმეებს;

ე) საბავშვო სახლის სანიტარულ ჟურნალს; საბავშვო სახლის შორიგეობის ჟურნალს;

3) ბავშვის ინდივიდუალურ რუკას სსრკ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული № 26 ფორმის მიხედვით;

ზ) საკონტროლო სახანძრო ჟურნალს;

თ) საჭმლის გასინჯვის წიგნს;

ი) საბავშვო სახლის დამთვალიერებელთა წინადადებების ჩასაწერ წიგნს;

კ) საინვენტარო წიგნს;

ლ) დადგენილი ნიმუშის მატერიალურ-ფინანსიური აღრიცხვის წიგნს;

მ) დოკუმენტაციის (საქმიანი ქაღალდების) არქივს.

§ 77 დადგენილ ვადებში საბავშვო სახლი წარუდგენს საქ. სსრ განათლების სამინისტროს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას დადგენილი ფორმის სტატისტიკურ ანგარიშებს, ფინანსიურ ანგარიშებს და საბავშვო სახლის მუშაობის ანგარიშს.

§ 78. საბავშვო სახლი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. მას აქვს დადგენილი ნიმუშის ბეჭედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 1066 — საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მედიკო-სანიტარული მომსახურების შესახებ 3
2. მითითებანი დაუსწრებელ საშუალო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ 6
3. ბრძანება № 1067 — საბავშვო სახლებში 1956 წლის მეორე კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ 10
4. ბრძანება № 1121 — სოფლის ახალგაზრდობის საღამოს რვაწლიანი სკოლების ზოგიერთი მოსწავლისათვის საშემოდგომო გამოცდების ვადის შეცვლის შესახებ 14
5. ბრძანება № 1190 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგიერთ საშუალო სკოლაში საწარმოო სწავლების შემოღების შესახებ 15
6. ბრძანება № 1281 — ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებული საშუალო სკოლის ზოგიერთი კურსდამთავრებულის შესახებ . . . 19
7. Приказ № 1281 — О некоторых лицах, награжденных серебряными и золотыми медалями при окончании средней школы . . . 24
8. ბრძანება № 1290 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდების გაუქმების შესახებ 29
9. Приказ № 1290 — Об отмене переводных экзаменов в школах Министерства просвещения Грузинской ССР 30
10. ბრძანება № 1375 — საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების 1955—1956 სასწავლო წლის შედეგების შესახებ 32
11. ბრანება № 1422 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლის წესდების დამტკიცების შესახებ 36
12 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის საბავშვო სახლის წესდება 37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარქსის სახ. სახ. ...
სახ. ...
ბიბლიოთეკა
თბილისი

რედაქტორი ბ. კიზირია
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

ტირაჟი 5000. შეკვეთა № 2081.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/XI-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9½,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და
პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

1p. 1ფ. 9/454

უფასო

ეროვნული
ბიბლიოთეკა